შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, კოორდინაციას უწევს ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოლიტიკის, შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესს ორი მიმართულებით:

საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების წევრებს შორის შერიგებისა და ჩართულობის მიმართულებით

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით

სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები, ორივე მიმართულებით, ხორციელდება ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში, მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაციით, საქართველოს პარლამენტთან, შესაბამისი რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ისევე როგორც სახალხო დამცველის აპარატის, სტრატეგიულ პარტნიორების, საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაბამისი ჩართულობით. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალო კავშირს ადგილობრივ მოსახლეობასთან, როგორც გამყოფი ხაზის გასწვრივ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში, ისე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში.

წინამდებარე ანგარიშში კონსოლიდირებული სახით წარმოდგენილია სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2025 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები და მიღწეული პროგრესის ტენდენციები, როგორც შერიგებისა და ჩართულობის, ასევე სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით; დოკუმენტი მომზადებულია თითოეული პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, განმახორციელებელი დარგობრივი სახელმწიფო უწყებების

მიერ დასახული ამოცანების ფარგლებში მიღწეული კონკრეტული შედეგების შესახებ მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკა - სამშვიდობო ინიციატივა ''ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ''

შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც დეოკუპაციის განზომილების პარალელურად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში ხორციელდება და მიზნად ისახავს სამშვიდობო ინიციატივებისა და ჰუმანიტარული, სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტების გამოყენებით, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე შექმნას წინაპირობები და მოამზადოს სათანადო საფუძველი, ომით ხელოვნურად დაშორებულ ადამიანებს შორის ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დამყარებული თანაცხოვრების აღსადგენად ერთიან, ძლიერ სახელმწიფოში, იმისათვის, რომ ადამიანთა დონეზე აღმოფხვრილ იქნას კონფლიქტი, დაძლეულ იქნას გაუცხოვება და მიზანმიმართულად შექმნილი ნეგატიური განწყობები.

მიმდინარე ოკუპაცია და მისი თანმდევი მძიმე უფლებრივი, ჰუმანიტარული და უსაფრთხოების გამოწვევის ერთობლიობა, მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიზნების სრულფასოვან რეალიზაციას. ამ კუთხით, აღსანიშნავია:

- საოკუპაციო ძალის მიერ ორივე რეგიონის ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ყოველწლიური ნაბიჯები, მათ შორის უკანონო არჩევნების ჩატარება, რიგი უკანონო გადაწყვეტილებების მიღება და ე.წ. დოკუმენტების გაფორმების პროცესი, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დანარჩენი საქართველოსგან იზოლაციის გაღრმავებას ისახავს მიზნად;
- ცხინვალის რეგიონის განგრძობითი იზოლაცია დანარჩენი საქართველოსგან, მავთულხლართების აღმართვის, გადაადგილების თავისუფლების და სამშვიდობო ინიციატივებში ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართვის მკაცრი შეზღუდვა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილზე წვდომის აკრძალვის გზით;
- მოსახლეობის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების უხეში და სისტემატური დარღვევა, ეთნიკური დისკრიმინაცია,

აქტიური რუსიფიკაციის და ასიმილაციის პოლიტიკა, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, თავისუფალი გადაადგილების, საკუთრებაზე წვდომის თუ სხვა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დამატებით შეზღუდვა. ვითარება ამ დრომდე განსაკუთრებით მძიმე რჩება გალისა და ახალგორის რაიონებში;

- საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება და პატიმრობაში დატოვება, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუსჯელობის სინდრომის გაღვივება საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფაში მონაწილე პირებისთვის ამ დრომდე სათანადო პასუხისმგებლობის არიდების გზით;
- ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირის და ლტოლვილის საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლების შეზღუდვა;
- ოკუპირებულ რეგიონებში დეზინფორმაციული კამპანიებისა და ანტიქართული პროპაგანდის აქტიურად წარმოება, რაც მათ შორის გულისხმობს შერიგების პოლიტიკითა და სამშვიდობო ინიციატივებით დანერგილი შესაძლებლობებით სარგებლობის სურვილის მქონე ადამიანებზე წნეხის განხორციელებას, ან მათ დევნას;
- აფხაზეთის რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრება და შეზღუდვების დაწესება, კონფლიქტის შედეგად გაყოფილ მოსახლეობას შორის აქტიურად მიმდინარე ნდობისა და ურთიერთობების აღდგენის პროცესის შეფერხების მიზნით.

2025 წლის 14 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, ე.წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმის ფარგლებში, რუსეთის ფედერაციისთვის საქართველოს სასარგებლოდ რამდენიმე ასეული მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაციის დაკისრება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების როგორც განხორციელებულ, ისე მიმდინარე უხეშ დარღვევებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას. შედეგად, ოკუპირებულ რეგიონებში უფლებრივ, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ ვითარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მთელი სიმწვავით დაყენება გრძელდებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, ასევე, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ერგნეთის მექანიზმის რეგულარული შეხვედრების ფარგლებში. კერძოდ:

2025 წელს ჩატარდა **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებ**ის სამი (63-ე, 64-ე და 65-ე) რაუნდი, სადაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი მეორე - ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. შეხვედრების ფარგლებში, ქართველი მონაწილეების მიერ განიხილებოდა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, მათ შორის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, სამედიცინო დახმარებაზე, საარსებო წყაროებსა და საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა, ასევე, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ერგნეთის **ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი**ს (IPRM) 2025 წელს გამართულ 7 შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ადამიანის უფლებების დარღვევები და ადგილზე არსებული უსაფრთხოების გარემო, ასევე მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ჰუმანიტარული საკითხები. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებსა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, გრძელდებოდა ძალისხმევა უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ჰუმანიტარულ ჭრილში გათავისუფლების, ისევე როგორც გალის IPRM შეხვედრების აღდგენის მიმართულებით.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმატში, ისევე როგორც ინდივიდუალურად, კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას საერთაშორისო პარტნიორებს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარებისა და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ძალისხმევის შესახებ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა რეზოლუციების, განცხადებებისა და სხვა სათანადო დოკუმენტების მომზადებისა და მიღების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, ყველა ხელთ არსებული ფორმალური თუ არაფორმალური ინსტრუმენტის გამოყენებით, ხორციელდებოდა ერთობლივი ძალისხმევა უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების ჰუმანიტარულ ჭრილში უმოკლეს ვადაში გათავისუფლების და საქართველოს მოქალაქეების მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების დასჯის უზრუნველსაყოფად.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიზნების რეალიზებისა და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობიდან გამომდინარე ერთობლივი, კოორდინირებული ქმედებების განსაზღვრის მიზნით, 2025 წელს არაერთი შეხვედრა გაიმართა

საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორც სახელმწიფო მინისტრის, ასევე აპარატის შესაბამისი ქვედანაყოფების წარმომადგენელთა დონეზე. გრძელდებოდა **ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ევროკავშირის, აშშ-ის, გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან**, პარტნიორი სახელმწიფოების დელეგაციებთან, ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 31-ე და 32-ე კონსოლიდირებული ანგარიშის „კონფლიქტი საქართველოში" მომზადების მიზნით, ევროპის საბჭოს დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო მინისტრთან, სადაც ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის, ასევე შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესისა და სამომავლო ხედვების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებზე აქტიურად განიხილებოდა ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებები და შემდგომი კოორდინირებული ძალისხმევის შესაძლებლობები. ამ კუთხით, აღსანიშნავია აფხაზეთში სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში (ASP) მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული ორი შეხვედრა (მარტში და ივლისში), სადაც მიმოხილულ იქნა განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ასევე სამომავლო ინიციატივები.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტებზე, მიზნებსა და ამოცანებზე ინფორმაცია გაზიარებულ იქნა, ასევე, **საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორის სამიტზე**, მთავრობათაშორისი კომისიის რიგით მეორე სხდომაზე, სადაც სახელმწიფო მინისტრმა, სამთავრობო დელეგაციის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა. ვიზიტის მიმდინარეობისას სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა გამართა უნგრეთის ვიცე-პრემიერთან და ეროვნული, ეთნიკური, ეკლესიის პოლიტიკისა და დიპლომატიის მინისტრთან.

საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმდინარეობის, მიღწეული შედეგების, ისევე როგორც სამშვიდობო ინიციატივების შემდგომი განვითარების ხედვის

გაცნობისა და ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, გრძელდებოდა **თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან**, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის ფორმატში. 2025 წელს, სახელმწიფო მინისტრმა კომისიის წევრებს, დახურულ სხდომაზე, შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის მიმდინარეობა და სამომავლო ხედვა გააცნო. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობისა და როლის გაძლიერებაზე, ასევე მიმოხილულ იქნა 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიცირების და ოჯახებისთვის გადაცემის პროცესი, განხორციელებული საქმიანობა და დასახული შემდგომი ნაბიჯები.

მიმდინარე ოკუპაციის და თანმდევი მძიმე გამოწვევების მიუხედავად, აქტიურად გრძელდებოდა **შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის და სამშვიდობო ინიციატივების თანმიმდევრული და პრაგმატული განხორციელება**, რაც მიზნად ისახავს ერთი მხრივ - საოკუპაციო ხაზებით და დეზინფორმაციით დაშორებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოების წევრებს შორის სახალხო დიპლომატიის, ნდობის აღდგენისა და საერთო ინტერესის საკითხების გარშემო თანამშრომლობის ხელშეწყობას; მეორე მხრივ კი - კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვას და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას - უკეთესი მომავლის პერსპექტივების გასაძლიერებლად.

აქტიურად მიმდინარეობდა **ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, სახალხო დიპლომატიის, სექტორული თანამშრომლობის და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების მხარდაჭერა** ყველა ხელთ არსებული ფორმალური თუ არაფორმალური არხების მეშვეობით და ამ მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა. 2025 წელს, ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით 26 ახალი ნდობის აღდგენის პროექტი იქნა ინიცირებული, ხოლო ჯამში 70-ზე მეტი პროექტი განხორციელების პროცესშია, რომელთა ფარგლებში, გამყოფი ხაზების ორივე მხრიდან საზოგადოების სხვადასხვა, მათ შორის პროფესიული წრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ და არაფორმალურ, ნეიტრალურ გარემოში მსჯელობენ ისეთ დარგობრივ თემებზე, რაც მათ ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებთ და ერთიანი პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას აძლევთ. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები აგრძელებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა

პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენს ომით გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენა და თემატური დიალოგი.

ხელოვნურად გაყოფილ მოსახლეობას შორის თანამშრომლობის მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ფარგლებში მოქმედი უნიკალური ფინანსური მექანიზმის - **"მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის"** ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა. ფონდის მიზანია გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო-ეკონომიკური პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსების გზით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა. 2025 წელს ჩატარდა მეექვსე საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ოკუპირებული რეგიონებიდან ფონდში შევიდა 62 კვალიფიციური ბიზნეს-განაცხადი; შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 18 ერთობლივი ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ბიზნეს ინიციატივის დაფინანსების თაობაზე *(ფონდის ამოქმედებიდან - 2020 წლის სექტემბრიდან დღემდე, საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან, ჯამში, 450-ზე მეტი ბიზნეს-პროექტი დარეგისტრირდა, რომელთაგან დაახლოებით 130 პროექტი დაფინანსდა).* აღსანიშნავია, რომ 2025 წელს მშვიდობის ფონდის საგრანტო კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულ ბენეფიციართა შორის 55%-ს ქალები შეადგენენ.

სამშვიდობო ინიციატივის მეორე პრიორიტეტული მიმართულების - ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები **ახალგაზრდების ხარისხიან განათლებაზე წვდომის კუთხით**, გრძელდებოდა ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში დანერგილი სხვადასხვა საშეღავათო პროგრამის მიმდინარეობა. 2025 წელს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაფინანსებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან უგამოცდოდ ჩაირიცხა 164 აბიტურიენტი; ამასთან, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. „1+4" პროგრამის მეშვეობით, უმაღლეს სასწავლებლებში ასევე ჩაირიცხა 3 ოსურენოვანი ახალგაზრდა, ხოლო საკუთარი სურვილით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად - 6 ახალგაზრდა ოკუპირებული აფხაზეთიდან.

აღსანიშნავია, რომ 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული 6-6 სტუდენტიდან, გამოვლინდა დიმიტრი გულიას

სახელობის სტიპენდიანტები - ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე ორი ახალგაზრდა, რომლებიც ყოველთვიურ სტიპენდიას ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებენ. აღნიშნული სტიპენდია სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიცემა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ეფექტიანად ფუნქციონირებდა **სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა**, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით სრულფასოვანი სახით 2024 წელს ამოქმედდა. პროგრამა გულისხმობს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების უკეთ მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, რაც ითვალისწინებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უფასო, ინტენსიურ და საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას ქართულ ენასა და მათთვის სასურველი მიმართულებით/სპეციალობით უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო დარგობრივ საგნებში. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სწავლის საფასურით, ყოველთვიური სტიპენდიით და საცხოვრებლით. 2025 წელს, პროგრამაში ოკუპირებული რეგიონებიდან 20 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, ხოლო 2024 წელს პროგრამაში მონაწილე 18 აბიტურიენტიდან 16 ახალგაზრდა, პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად, 2025 წელს უმაღლეს სასწავლებელში სასურველ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის, **საქართველოს მოქალაქეობაზე** და თანმდევ დოკუმენტებზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა. 2025 წელს საქართველოს მოქალაქეობა ოკუპირებული რეგიონებიდან 136 ადამიანს დაუდგინდა.

სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებად რჩებოდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის **ხარისხიან, უფასო ჯანდაცვაზე წვდომის ხელშეწყობა**, მათ შორის რეფერალური და სხვა სპეციალიზებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების უწყვეტი და ეფექტიანი ფუნქციონირება, ასევე აფხაზეთის რეგიონის დახმარება სათანადო მედიკამენტებითა და ვაქცინებით. 2025 წელს, „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 1 490 მოსახლეს *(1 216 - აფხაზეთის რეგიონიდან და 274 - ცხინვალის რეგიონიდან).*

ამასთან, გრძელდებოდა აფხაზეთის რეგიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერა და სტატუს-ნეიტრალური საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, იმუნიზაციის ვაქცინების, დიაბეტის, ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების რეგულარულად მიწოდება. ჯამში, ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯული თანხა 8 მილიონამდე ლარს აღწევს.

გარდა ამისა, სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ფარგლებში ამოქმედებული პირადი ნომრით რეგისტრირებულმა, ასევე, სტატუს-ნეიტრალური პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მქონე, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებმა 78-მა პირმა ისარგებლა უფასო სამედიცინო დახმარებით „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის" მიღმა არსებული ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, როგორიც არის, მაგალითად, B და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, ქიმიოთერაპია, მენტალური ჯანმრთელობის პროგრამა, აივ-ინფექცია/შიდსის მართვა, გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობა და სხვა.

სოფლის მეურნეობის კუთხით ადგილზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა **მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები**, რომელთა ღირებულებამ დაახლოებით 700,000 ლარი შეადგინა.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა პროგრამისა და სერვისის თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, ეფექტიანად ფუნქციონირებდა **ერთიანი საინფორმაციო პორტალი** (www.openbf.info), რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან მჭიდრო უწყებათაშორისი თანამშრომლობით და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით შექმნა.

პორტალის უმთავრესი დანიშნულებაა მოსახლეობისათვის ერთიან სისტემაში თავმოყრილი, სრულყოფილი და დეტალური ინფორმაციის მაქსიმალურად მარტივ და გასაგებ ენაზე მიღების ციფრული/ონლაინ წყაროს შექმნა, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება ეძლევათ დაუბრკოლებლად გაეცნონ ზემოხსენებული პოლიტიკით გათვალისწინებული სხვადასხვა მიმართულებით - ჯანდაცვის, განათლების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო სერვისების მიღებისა და სხვა, მათთვის მოქმედ/ხელმისაწვდომ საჯარო სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს, ასევე, პოლიტიკის ფარგლებში

შემუშავებულ სამშვიდობო ინიციატივებს. პორტალი ხელმისაწვდომია ქართულ, აფხაზურ, ოსურ და ინგლისურ ენებზე.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა**, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის აპარატის წარმომადგენლების გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლების მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის გზით. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრები გამართა ადგილობრივ მოსახლეობასთან გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - მერეთსა და ქვემო არცევში, სადაც მოინახულა ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, გორის მუნიციპალიტეტისა და ჩინეთის საელჩოს ერთობლივი დაფინანსებით განხორციელდა.

მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების კუთხით, აქტიურად აგრძელებდა მუშაობას **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია**, რომელსაც თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი. მიმდინარეობდა გამყოფი ხაზის გასწვრივ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, ჯანდაცვითი და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. 2025 წელს გაიმართა სამთავრობო კომისიის ორი სხდომა. კომისიის გადაწყვეტილებისა და მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, 2,000-ზე მეტ სტუდენტს დაუფინანსდა 2025-2026 სასწავლო წლის სწავლის საფასური, ხოლო 14,635 ოჯახს ზამთრის პერიოდში დახმარება გაეწია.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა **სამშვიდობო პროცესში ქალთა როლისა და ჩართულობის გაძლიერება**, მათ შორის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, როგორც სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერის, ასევე - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების გზით.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებისა და გამოწვევების გაზიარების, შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის მიმდინარეობის გაცნობის, ასევე, ქალების საჭიროებების გამოვლენისა და გაანალიზების მიზნით, 2025 წელს, სახელმწიფო მინისტრისა და აპარატის წარმომადგენლების მხრიდან განხორციელდა ინტენსიური თანამშრომლობა ქალთა საკითხებზე მომუშავე

დაინტერესებულ და პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; ამასთან, გამყოფ ხაზებთან ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ სოფლებში მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ახალ პროექტებზე გაცემული თანხმობებიდან, პროექტების 50% მოიცავდა ქალთა საკითხებს, ან წარდგენილი იყო ქალთა ხელმძღვანელობით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სსიპ - „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა“ და იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, რეგულარული საინფორმაციო / საკონსულტაციო შეხვედრები გამართა გამყოფი ხაზის სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე, არასრულწლოვანთა მიმართ/მიერ ჩადენილ ძალადობის, სახელმწიფო სერვისებსა და უფასო იურიდიულ დახმარების საკითხებზე. 2025 წელს მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში, რომლებშიც ჯამში 83 ადგილობრივმა მოსახლემ, მათ შორის 63 ქალმა მიიღო მონაწილეობა.

შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, გამყოფ ხაზებთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და მათი როლის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წელს ცვლილებები განხორციელდა მოქმედ პროგრამაში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN WOMEN) და ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ინტენსიური მუშაობის შედეგად, 2025 წლიდან აღნიშნული ტრენინგ-კურსის მონაწილე, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებს, ეკონომიკური აქტივობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღებასთან ერთად, შესაძლებლობა გაუჩნდათ ჩართულიყვნენ პროგრამის თანმდევ მცირე სამეწარმეო გრანტების კონკურსში. შედეგად, სასწავლო კურსში მონაწილე გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებ 28 ქალს, რომლებმაც სწავლება გაიარეს ქ. გორსა და ქ. ზუგდიდში, ბიზნეს

საპროექტო იდეების განსახორციელებლად 2025 წელს გადაეცათ მცირე გრანტები.

სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაწესებული ყოველწლიური კონკურსი **„მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“** სამ კატეგორიაში - „საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა“, „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ და „საუკეთესო სამშვიდობო გზავნილი“. 2025 წლის ივნისი-აგვისტოს თვეში გამოცხადებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, გამარჯვებულები გამოვლინდა ორ ნომინაციაში - „საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა“ და „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“. გამარჯვებული ახალგაზრდების დაჯილდოება გაიმართა 23 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიების ფარგლებში, სადაც მათ სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ მშვიდობის მშენებლობის მხარდაჭერის საკითხებში, ელიზაბეტ სპეჰარმა. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი პრემია 3000 ლარის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროსაბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტრასბურგში გამართულ დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობით, გრძელდებოდა **საქართველოში 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პროცესი**, რომელიც მიზნად ისახავს გაუჩინარებულთა ხვედრისა და ადგილსამყოფელის დადგენას და მათი ოჯახების თანადგომას.

2025 წელს იდენტიფიცირებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში უგზო-უკვლოდ დაკარგული 6 პირის ნეშტი (5 სამხედრო, 1 მშვიდობიანი მოქალაქე). განხორციელდა მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნეშტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა, დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის კოორდინირება. ოჯახების სურვილის გათვალისწინებით და შესაბამის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, იდენტიფიცირებული პირები სათანადო პატივით დაიკრძალნენ სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის, საგვარეულო სასაფლაოებზე.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროგრამაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ჩართულობამდე და შესაბამისად, პროგრამის მისი ეგიდით წარმართვის დაწყებამდე, არა-გენეტიკური მეთოდით დაკრძალულ ნეშტებს შორის გამოვლინდა ერთ-ერთი შემთხვევა, რომელთან მიმართებაშიც გამოიკვეთა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გენეტიკური მეთოდით იდენტიფიცირებული პირის ნეშტით ჩანაცვლების საჭიროება. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ოჯახთან კომუნიკაციის საფუძველზე, იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, განხორციელდა ოჯახის საგვარეულო სასაფლაოზე სამარხის გახსნა, დაკრძალული ნეშთის ექსჰუმირება და იმავე სამარხში უკვე გენეტიკური მეთოდით იდენტიფიცირებული პირის ნეშთის დაკრძალვა.

2025 წელს, ასევე, მიმდინარეობდა უგზო - უკვლოდ დაკარგულთა სამარხების მდებარეობისა და გაუჩინარების გარემოებებთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის შეგროვება. ამასთან, იმართებოდა რეგულარული შეხვედრები უგზო - უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, პოტენციურ ინფორმაციის მატარებელ პირებთან, პროცესში მონაწილე უწყებებთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის დონეზე კავკასიაში უგზო - უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხებში ICRC-ის სპეციალურ დესპანთან.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ნეშტების იდენტიფიცირების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, გენეტიკური საექსპერტო მომსახურების ფარგლებში, განხორციელდა აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო - უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების 37 ბიოლოგიური ნიმუშის გენეტიკური გამოკვლევა - პროფილირება და დაარქივება.

2025 წლის განმავლობაში აქტიურად გრძელდებოდა ICRC-ის ინიციატივით ჩატარებული სტრატეგიული კვლევის დასკვნების და რეკომენდაციების თანახმად მიმდინარე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ორიენტირებულია შესაბამისი ჩართული სახელმწიფო უწყებების როლის ეტაპობრივ გაზრდაზე.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო - უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, სხდომაზე განხილულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროცესის მიმდინარეობა, მიღწეული პროგრესი, აქტუალური საკითხები და სამომავლო ხედვები.

აქტიურად გაგრძელდა და მიმდინარეობდა მოძიების და შეფასების, ექსპერტიზის, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების, ასევე მონაცემთა ბაზების საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბებული თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობა; ყველა თემატური ჯგუფის საქმიანობას ზედამხედველობას უწევენ სახელმწიფო მინისტრი და ICRC-ის სპეციალური დესპანი, რომელთა შეხვედრები რეგულარულად, საჭიროებისამებრ იმართებოდა.

ICRC-ის ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, ასევე, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების თანადგომის მიმართულებით, მის მიერ დანერგილი პრაქტიკის განგრძობადობის და რეგიონებში განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემდგომი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2025 წელსაც გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. აღსანიშნავია, რომ ხუთ რეგიონში მოქმედი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან, კონკურსში მონაწილეობა მიიღო გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში მოქმედმა ორგანიზაციებმა, შესაბამისად, თბილისსა და ბათუმში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნის უკვდავყოფისკენ მიმართული ღონისძიებები *(ძირითადად, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე- 30 აგვისტო; უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელზე დაწერილი ხატის დღე-8 დეკემბერი)* სახელმწიფო მინისტრის აპარატის სრული ორგანიზებით გაიმართა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ომის პატიმრების, ტყვეების და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, სახელმწიფო მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ბაქოს დიალოგის ფარგლებში, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ძალისხმევის გაერთიანება და თანამშრომლობის გაძლიერება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად". ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ახალ ტექნოლოგიებსა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ, ქ. ჟენევაში გამართულ სიმპოზიუმში.

2025 წლის 4 დეკემბერს, ქ. სტამბოლში გაიმართა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ეგიდით მოქმედი, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისაგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის მე-17 შეხვედრა; ასევე, ჩატარდა ამავე მექანიზმის ფარგლებში მოქმედი სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მეოცე შეხვედრა.

სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში განიხილება და მიზნად ისახავს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, კონსტიტუციური და მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, 2025 წლის განმავლობაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა საქმიანობა 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, ხუთი პრიორიტეტული, ურთიერთდაკავშირებული მიმართულების ფარგლებში:

- სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
- სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;
- კულტურათაშორისი დიალოგი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამებისა- და პროექტების განხორციელების კოორდინაციას, ასევე მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესების სისტემურ და შედეგებზე ორიენტირებულ წარმართვას. კერძოდ,

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით და კოორდინაციით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის

სამთავრობო კომისიის წევრ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც 2025 წლის 18 ივნისს, საქართველოს მთავრობის N990 განკარგულებით დამტკიცდა. სამოქმედო გეგმის შემუშავების ღია და ინკლუზიური პროცესი ყველა შესაბამისი პარტნიორის აქტიური ჩართულობით წარიმართა. გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობა, ისევე, როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე საჯაროდ განთავსებული გეგმის პროექტთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებული პირისთვის მოსაზრების გამოხატვისა და წვლილის შეტანის შესაძლებლობა. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შედეგები, ასევე, საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები.

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიასთან კონსოლიდირებული ძალისხმევის შედეგად, საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მესამე, ორწლიანი ციკლის (2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა) განხორციელება ხუთი ~~3~~ პრიორიტეტული მიმართულებით. ~~: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი.~~ თითოეული პრიორიტეტული მიმართულებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელება შესაბამისი ქმედითი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, პასუხისმგებელი დარგობრივი უწყებების აქტიური ჩართულობით, განაპირობებდა პოლიტიკის აღსრულების თანამიმდევრულობას, პოზიტიური დინამიკის განმტკიცებას და მდგრადი, ხელშესახები შედეგების მიღწევას.

ამასთანავე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში გამართული კონსულტაციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისა და სახელმწიფო სტრატეგიის მონიტორინგისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მომზადდა სიღრმისეული შუალედური (2021-2024 წლები) შეფასება სტრატეგიის სამი პრიორიტეტული მიმართულებით: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია. შეფასებები მომზადდა დამოუკიდებელი მაღალკვალიფიციური ექსპერტების მიერ და დაეფუძნა სპეციალურად ჩატარებულ კვლევებს, მათ შორის „სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის ანალიზს სომხურენოვან და

აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში“, ასევე „უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პოლიტიკისა და სტაჟირების პროგრამების გავლენის შეფასებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმებაზე“. კვლევების მიგნებები და ანალიტიკური დასკვნები ინტეგრირებულად აისახა დადგენილი პროფესიული და მეთოდოლოგიური სტანდარტების დაცვით მომზადებულ შუალედური შეფასებების დოკუმენტებში. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს როგორც შემდგომი პოლიტიკის მიზნობრივი დაგეგმვისა და ეფექტიანად წარმართვის, ასევე რესურსების შედეგიან განაწილებისა და პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კონტექსტში.

სტრატეგიული მიმართულების - „სახელმწიფო ენა ინტეგრაციისთვის“ - ფარგლებში, 2025 წელს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად რჩებოდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ~~რეგიონებში~~ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის ცოდნის სისტემური გაძლიერება და მისი გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობების გაფართოება. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები აერთიანებდა განათლების ყველა საფეხურს, ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, ადამიანური რესურსის განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ საინფორმაციო საქმიანობას. მიღწეულმა შედეგებმა ცხადყო პროგრესის ტენდენცია როგორც ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, ისე ზრდასრულთა განათლების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისთვის.

ქართული ენის საგანმანათლებლო მხარდაჭერის გასაძლიერებლად, არაქართულენოვან სკოლებში გაიგზავნა 143 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებიც საგნობრივ სწავლასთან ერთად ქართული ენის დამხმარე ფუნქციას ასრულებდნენ. აღნიშნულმა პრაქტიკამ ხელი შეუწყო როგორც მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას, ისე ადგილობრივი პედაგოგების საგნობრივ და მეთოდურ ინტეგრაციას. პარალელურად, სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით გადამზადდა 167 პედაგოგი. მომზადდა ახალი სატრენინგო მოდულები: „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“, რომლის ფარგლებში პროფესიული განვითარების მიზნით გადამზადდა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების ქართული ენის 300-მდე მასწავლებელი; და „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ქართული ენის გაკვეთილზე“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 150 მსმენელი. სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გაგრძელდა სხვადასხვა საგნის

ადგილობრივი მასწავლებლების გრძელვადიანი გადამზადება (192) და შენარჩუნდა ფინანსური წახალისების მექანიზმები.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით, სამიზნე რეგიონებში განხორციელდა მრავალმხრივი საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ქართული ენის სასწავლო პროგრამებით, ენის სასწავლო ცენტრებში, ასევე საჯარო ორგანიზაციებში, სამხედრო სამსახურებში, პენიტენციურ და რელიგიურ დაწესებულებებში, მობილური ჯგუფების, დისტანციური თუ ჰიბრიდული სწავლების ფორმებით, ქართული ენის ცოდნის დონე გაიუმჯობესა 5300-მდე მეტმა ბენეფიციარმა, ხოლო რეგიონულ ცენტრებში ჩატარებულმა საინფორმაციო შეხვედრებმა (40) მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამებისა და სერვისების ცნობადობა.

სკოლამდელი განათლების მიმართულებით გაგრძელდა ბილინგვური პროგრამის გაფართოება, ადამიანური რესურსის განვითარება და მშობელთა ცნობიერების ამაღლება. ბილინგვურ პროგრამაში ჩართულია 62 სკოლამდელი დაწესებულება, გადამზადდა 103 აღმზრდელ-პედაგოგი და განახლდა ორენოვანი სასწავლო რესურსები. პარალელურად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები, მათ შორის საბავშვო ბაღების მშენებლობა და ალტერნატიული სათემო ბაღების ამოქმედება. დასრულდა 3 სკოლის რეაბილიტაცია და ~~9~~8 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია, ამასთანავე, მიმდინარეობს 10 სკოლისა და 12 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია. ~~დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კამარლოში ფუნქციონირებს ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღი.~~

მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება ბილინგვური განათლების განვითარებისა და ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. ბილინგვური კომპონენტი ეტაპობრივად გაფართოვდა (206 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორი) და მოიცავს დაწყებით საფეხურზე ძირითად საგნებს (ხუთი საგანი), გაიზარდა გადამზადებული ბილინგვური სპეციალისტების რაოდენობა (770) და განახლდა სასწავლო მასალები. ბილინგვური სწავლება ეტაპობრივად გადადის საბაზო საფეხურზე, რაც პროგრამის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს მხარდასაჭერად ითარგმნა საგამოცდო მასალები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული).

ეთნიკური უმცირესობების პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გაგრძელდა როგორც პროგრამული, ისე საინფორმაციო მხარდაჭერა. პროფესიული განათლების მიმართულებით, 2025 წელს სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩატარებული პროფესიული ტესტირების/შერჩევის საფუძველზე, საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებების ფარგლებში სწავლის უფლება მოიპოვა 627 პირმა. ენობრივი ბარიერის შემცირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიულ განათლებაში ჩართულობის ზრდაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიული ორიენტაციის მხარდასაჭერად არაქართულენოვან სკოლებში გაგრძელდა საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსები, რაც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და მონაწილეობის ზრდას. ჯამში პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ 59 არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ითარგმნა ზოგადი უნარების ტესტები, ხოლო ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა შინაარსობრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა. მზარდი დინამიკით ხასიათდება ე.წ. „1+4 პროგრამის“ ბენეფიციართა რაოდენობა. აღნიშნული პროგრამის დაწყებიდან დღემდე სტუდენტების რაოდენობა 7-ჯერ არის გაზრდილი */2025-2026 აკადემიურ წელს პროგრამაში ~~1717~~ 1624 სტუდენტი ჩაერთო/.* ამასთან აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველი დეკემბერის N1994 საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია", რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს უმაღლესი განათლების რეფორმა. რეფორმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სრულად დაფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ~~პროფესიული ორიენტაციის მხარდასაჭერად არაქართულენოვან სკოლებში გაგრძელდა საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსები, რაც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და მონაწილეობის ზრდას. ჯამში პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ 59 არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები.~~

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მიზნობრივი საგანმანათლებლო და

საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ზრდაზე საარჩევნო და საზოგადოებრივ პროცესებში. ინიციატივები განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში და ეფუძნებოდა პრაქტიკულ ცოდნასა და ტექნოლოგიური კომპეტენციების გაძლიერებას. კერძოდ: ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები", რომელიც მიზნად ისახავდა საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას; ჩატარდა სასწავლო პროექტი „არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები", რომელიც მოქალაქეებს სთავაზობდა პროფესიულ გადამზადებას საარჩევნო ტექნოლოგიებში და მიზნად ისახავდა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ტექნიკური პერსონალის მომზადებასა და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფორმირებას. ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულმა პროგრამამ „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი" ქვეყნის მასშტაბით მოიცვა 56 სკოლა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში.

მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე. მიმდინარეობდა ყოველკვირეული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების „ვრასტანი" (50 ნომერი, 3 500 ტირაჟი) და „გურჯისტანი" (50 ნომერი, 2 500 ტირაჟი) გამოცემა. გაზეთები ვრცელდებოდა, როგორც ქალაქ თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში; ამასთან, პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პირებს უზრუნველყოფილი ჰქონდათ 27 უცხოენოვანი სატელევიზიო არხის ხელმისაწვდომობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-პორტალი განაგრძობდა ფუნქციონირებას შვიდ ენაზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართულობის მხარდასაჭერად, პროექტის „სამოქალაქო ინტეგრაციის სკოლა" ფარგლებში ჩატარდა ორი სამდღიანი ტრენინგ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან ქალებმა და ახალგაზრდებმა (70-მდე ბენეფიციარი). მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია სამოქალაქო თანასწორობის, მედიაწიგნიერების, ევროკავშირთან ინტეგრაციის, ქალთა უფლებების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა მრავალმხრივი საგანმანათლებლო აქტივობები. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 190 თანამშრომელმა გაიარა შესაბამისი ტრენინგი, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობით თემატურ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე სამართალდამცავმა; პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემატიკაზე გადამზადდა 472 მსმენელი. ბავშვთა ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობით, კახეთის რეგიონში ჩატარებულ 20 საინფორმაციო შეხვედრაში ჩაერთო 400-მდე მოქალაქე. მუნიციპალიტეტებისა და სამხარეო ადმინისტრაციების დონეზე გამართულ შეხვედრებში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 1600-მდე მოქალაქემ.

მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში, თარჯიმნის მხარდაჭერით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მათთვის გასაგებ ენებზე. პარალელურად, საქართველოს „საკანონმდებლო მაცნემ“ უზრუნველყო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე - საანგარიშო პერიოდში სომხურ ენაზე ითარგმნა 30, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე - 25 დოკუმენტი.

სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაფართოებაზე მიმართული ძალისხმევა, 2025 წელს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდასა და ეკონომიკური ჩართულობის ამაღლებას ემსახურებოდა. განხორციელებულმა ინტერვენციებმა მოიცვა სოციალური დაცვის, ჯანდაცვის, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებები და მიზნად ისახავდა სახელმწიფო რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას.

ჯანდაცვისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, კახეთის რეგიონში (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, საგარეჯო) გაიმართა 22 საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 800 ბენეფიციარმა. იურიდიულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ქვემო

ქართლის 11 სოფელს მოემსახურა მობილური იუსტიციის სახლი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ადმინისტრაციული მომსახურებების მიღება.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურეობა გაეწია 2 708 ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ხოლო ფერმერული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო პროგრამებზე ინფორმირებულობის ასამაღლებლად ჩატარდა 501 საინფორმაციო შეხვედრა.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით განხორციელდა მასშტაბური სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2025 წელს დასრულდა 160.9 კმ გზის საფარის მშენებლობა/რეაბილიტაცია. აქედან, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 80.9 კმ გზის საფარზე (ჯამური ბიუჯეტი- 452,596.85 ლარი), ~~-~~ ხოლო, დანარჩენ 80კმ გზის საფარზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებიდან. ~~საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სამუშაოები განხორციელდა 80.9 კმ გზის საფარზე, რომლის საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს - 452,596.85 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებიდან დაფინანსდა ჯამურად 69,775,172.00 ლარი ღირებულების 82 პროექტი.~~ საანგარიშო პერიოდში სამივე რეგიონში ჯამში დასრულდა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობის/მშენებლობის 7 პროექტი. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ" დასრულდა 115,564,686.00 ლარის ღირებულების 3 პროექტი, ხოლო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, საანგარიშო პერიოდში მიერ განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება არის 3,603,024.00 ლარი, რის შედეგადაც 1800 ბენეფიციარი ისარგებლებს წყალმომარაგების გაუმჯობესებული სერვისით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, 239 მეწარმე ქალმა ბენეფიციარმა კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან მიიღო სესხი 10 850 450 ლარის ოდენობით; ჯამურად, პროგრამების ფარგლებში, სამიზნე რეგიონებში მხარდაჭერილია 708 ქალი მეწარმე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საჯარო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობის, პროფესიული უნარების განვითარების, საქმიანი გამოცდილების შეძენისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდასაჭერად განხორციელდა „1+4 სტაჟირების პროგრამა“.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სამი მუნიციპალიტეტის (ლაგოდეხი, თელავი და საგარეჯო) რვა სოფლის (განჯალა, კაბალა, ყარაჯალა, უზუნთალა, ლამბალო, მუღანლო, დუზაგრამა, თულარი) 300-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით წარიმართა მრავალკომპონენტიანი, ორენოვანი საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით.

კულტურათაშორისი დიალოგის სტრატეგიული მიმართულებით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო თეატრებმა (სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის პროფესიული სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, სსიპ ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრი) გამართეს 5 პრემიერა, 86 წარმოდგენა და 3 საერთაშორისო გასტროლი; მუზეუმების (სსიპ - მირზა ფათალი ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, სსიპ - დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, სსიპ - სმირნოვების მუზეუმი) მიერ მოეწყო 13 გამოფენა და განხორციელდა 10 საგანმანათლებლო პროგრამა. პარალელურად გაიმართა ფესტივალები და ლიტერატურული საღამოები, განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე წინასაპროექტო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები მოიცავდა გამოფენებს, ფესტივალებს, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას, ახალგაზრდულ ინიციატივებსა და არაფორმალურ შემეცნებით აქტივობებს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მოძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთისა (ახალქალაქი) და ქვემო ქართლის (მარნეული) რეგიონებში განხორციელდა მასშტაბური ღონისძიებები, რაც

ითვალისწინებდა გასართობი და შემეცნებითი სივრცეების მოწყობას მრავალფეროვანი კომპონენტებით, მათ შორის თემატური სტენდებითა და შემეცნებითი გამოფენებით, სპორტული აქტივობებით, საბავშვო სპექტაკლებითა და შოუებით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ეთნოსების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ ღონიძიებებში, მათ შორის „ვარდატონი", მულტიკულტურული ფესტივალი "შინი", რეგიონებში სახალხო დღესასწაულების აღნიშვნასა და სხვა მიზნობრივი აქტივობების განხორციელებაში.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატ~~ისმა~~ ~~წარმომადგენლებმა,~~ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის მიწვევით, კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე, ორი ქვეყნისთვის აქტუალური მიდგომებისა და პრინციპების გათვალისწინებით, სამომავლო პრიორიტეტებზე ხედვების ურთიერთგაზიარების მიზნით, ჩინეთში ვიზიტი განახორციელა. შეხვედრები გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის მინისტრთან, ჩინეთის ხალხთა ეროვნული კონგრესის ეთნიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, მინზუს უნივერსიტეტისა და ეთნიკურ კულტურათა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელ პირებთან.